საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს

დადგენილება №433

2011 წლის 14 აპრილი

საგანმანათლებლო პროგრამების ფორმების
დამტკიცების, პროგრამების განხილვისა და
დასამტკიცებლად წარდგენის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგი თანდართული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმები: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1), ბაკალავრიატის დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2), მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3), დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 4).
2. დამტკიცდეს საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი (დანართი 5).
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2011 წლის 1 მაისამდე უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის რეკომენდაციების მომზადება.
4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 თებერვლის № 2 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 - "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის, განხილვისა და დასამტკიცებლად წარმოდგენის პროცედურა".
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმდინარე წლის 21 აპრილამდე წარმოადგინოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმისა და სილაბუსების განხილვისა და დამტკიცების წესის პროექტები.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამების ფორმების, აგრეთვე, პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე